

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3**

ქ. თბილისი

11.03.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბოჭორიშვილი - შპს - "სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის" რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;



პაატა შურღაია - შპს "გრანტ თორნთონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;

მარინა ქარჩავა - პრორექტორი;

ნათია სამუშია - პრორექტორი;

რეზო ხოფერია - თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი;

თეა ოდიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;

ნინო წიკლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი;

ალექსანდრე რაქვიაშვილი - ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;

ნატო კობახიძე - სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი;

ლილე ჩხეტიანი - იურიდიული სამსახურის უფროსი;

მარიამ ჯაფარიძე - საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი;

ანა მილაშვილი - გამოცემების და ღონისძიებების მენეჯერი;

მარიამ ყორღანაშვილი - კვლევების განვითარების მენეჯერი;

სოფო ფიცხელაური - კვლევების განვითარების კოორდინატორი;

მარიამ მებურიშვილი - კარიერული განვითარების მენეჯერი.

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი:

თამარ გარდაფხაძე - რექტორი;

თინათინ გაბრიჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან კვიციანი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ხათუნა ნაჭყებია - ხარისხის სამსახურის კვლევების კოორდინატორი;
თამარ კოპალეიშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
თამარ პაპაშვილი - ბუღალტერი;
ნინო ჭითანავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით გეფერიძე - სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი;
გურამ ბაკაშვილი - სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტი;
ეკა რუხაძე - ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი;
ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი - დეკანის მოადგილე;
მანანა ნანიტაშვილი - ბიზნესის პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი კიპაროძე - სასწავლებლის თანადამფუძნებელი;
თინათინ დოლიაშვილი - პროფესორი, აკადემიური პერსონალი;
ანი ყაველიშვილი - კანცელარიის უფროსი;
გიორგი კაკაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკატერინე აზარაშვილი;
არჩილ აბაშიძე;
ნინო ჟვანია;
ეკა ლეფსვერიძე;
სალომე ძაგნიძე;
მურთაზ კვირკვია;
ნათია ჭიღვარია;
დავით ყიფიანი.

სხვა დამსწრე პირები:

ელენე კაკაბაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;
ბექა კოკაია - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ნინო ძნელაძე - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;



საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგს პირველ საკითხად დამატებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს ყველა წევრის მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებით შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დაშვებული ტექნიკური ხასიათის ორი ხარვეზი, კერძოდ, არასწორად იყო მითითებული იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი და დაწესებულების სახე.

შესაბამისად, ცენტრი საბჭოს წინაშე შუამდგომლობდა, რომ საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში შესულიყო ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება შევიდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.“

2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ჩართვამდე, გაეკეთებინათ მოკლე მიმოხილვა დასკვნის ირგვლივ და საბჭოს წევრებისათვის გაეცნოთ აგრარულ უნივერსიტეტში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან დასკვნა იყო პოზიტიური და ექსპერტებს ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე რჩევა დაფიქსირებული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მოკლე მიმოხილვა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ. მან განმარტა, რომ ვიზიტის დროს გამართულმა დისკუსიებმა დაარწმუნა ექსპერტები, რომ დაწესებულება კარგად აცნობიერებს მისიას, ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. მისიას დაწესებულება იაზრებს, როგორც სწავლაში, სწავლებასა და კვლევაში საუკეთესო პირობების შექმნას, როგორც სტუდენტებისთვის, ისე მკვლევარებისთვის, დაწესებულებას აქვს საქართველოში საუკეთესო ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, რაშიც ექსპერტები სამდღიანი ვიზიტის დროს სრულებით დარწმუნდნენ. დაწესებულებას მისიაში ხაზგასმული აქვს სწავლებასა და კვლევაში ქართული ენის პრიორიტეტულობა, რაც ნამდვილად სიახლე იყო ექსპერტებისთვის, სხვა დაწესებულების შემთხვევაში ენის მსგავსი აღიარება არ უნახავთ. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ სტუდენტები ნამდვილად ჩართულნი არიან კვლევაში. ექსპერტებს ჰქონდათ რჩევა, რომელიც შეეხება სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველყოფას უნივერსიტეტის მართვაში, მაგალითად უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიის შექმნის პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობას. მიუხედავად, იმისა, რომ უნივერსიტეტში იყო სტუდენტების დეკანის, იგივე სტუდენტების ომბუდსმენის პოზიცია, რომელიც მუდმივად ჩართულია სტუდენტების პრობლემების მოგვარებაში, მართავს შეხვედრებს და უსმენს მათ. მიზანშეწონილია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა

დოკუმენტების მომზადება/შექმნის პროცესში, რაც გარკვეულწილად გამოცდილებაა სტუდენტებისთვის, ცხადია ყველა სტუდენტი ვერ ჩაებმება ამ პროცესში, თუმცა შეთანხმება როგორი ფორმითაა სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა უზრუნველყოფილი ეს დამოკიდებულია უნივერსიტეტზე.

უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შინაარსობრივი და კოლეგიალური მუშაობისათვის. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა, რომ თავისი წვლილი შეიტანოს სამეცნიერო კვლევაში ქართული ენის აქტიური გამოყენების მხრივ. რჩევასთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ თუკი სტუდენტების გარკვეულ ჯგუფს ეძლევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ეს უნდა იყოს დემოკრატიის პრინციპზე აგებული, თუმცა ეს საკმაოდ რთული მისაღწევი იყო, მისი მოსაზრებით, ამის მოგვარება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოში ზოგადად პრაქტიკაში გვაქვს სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტი, რომელიც სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის დგას და ის არ არის ამ ურთიერთობისთვის ხელისშემწეობი მექანიზმი, არამედ არის გამაუარესებელი. რექტორის მოსაზრებით, თვითმმართველობებს არ აქვთ სტუდენტთა მხრიდან ლეგიტიმაცია, ამდენად ამ სისტემის დანერგვა გარკვეული რისკების შემცველია და დაწესებულება ახერხებს სტუდენტების ჩართულობას იმ ფორმით, რომელიც ექსპერტების მხრიდანაც პოზიტიურად შეფასდა. სტუდენტთა ფოკუს ჯგუფები, სტუდენტური ოფისი და სხვადასხვა ტიპის კომუნიკაცია სტუდენტებთან აკმაყოფილებდა სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით სტანდარტს და არამარტო სტანდარტის მოთხოვნებს.

Skype-ის საშუალებით საბჭოს სხდომაზე ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ჰანს ჰენრიკ დიეთზი, რომელიც მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს და განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა ძალიან პოზიტიურად, ეს იყო კერძო დაწესებულება და თავისი მართვის მექანიზმებით განსხვავდებოდა საჯარო დაწესებულებისაგან. ექსპერტის თქმით, ძირითადი განსხვავება, რაც განასხვავებდა სახელმწიფო უნივერსიტეტებისაგან დაწესებულებას იყო, ის რომ ყველა საკითხი წესდებით დარეგულირებული არ იყო, ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფს არ შეეძლო ის მოთხოვნები წაეყენებინა დაწესებულებისთვის, რასაც წაუყენებდა საჯარო დაწესებულებას კომისიების, კოლეგიების, საბჭოების არსებობის თვალსაზრისით. ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტში იყო სხვადასხვა საბჭოები, სადაც გაერთიანებულნი იყვნენ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და ექსპერტებმა მათაც დაუსვეს იგივე შეკითხვებს, რასაც სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში საბჭოს წევრებს დაუსმევდნენ. თუმცა, თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტებმა დასვეს ყველა ის შეკითხვა, რასაც საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან დასვამდნენ. მისი თქმით, აკადემიური სწავლების

სტანდარტი უნივერსიტეტში იყო ძალიან მაღალ დონეზე, სწავლება დაფუძნებული იყო კვლევაზე და ასე ხორციელდებოდა რეალურად პრაქტიკაშიც.

ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაციები, მათ მხოლოდ რამდენიმე რჩევა/შეთავაზება შეიმუშავეს. ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა მომავალში დამატებითი დაფინანსების მოძიებას კვლევებისათვის სათანადო ბაზების შექმნის მიზნით, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას ყველა საჭირო რესურსი გააჩნდა კვლევისათვის. ექსპერტების აზრით, სამომავლოდ საერთაშორისო დაფინანსების მოძიება უნივერსიტეტს დაეხმარებოდა კვლევების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. თავმჯდომარე დაემშვიდობა სხდომაზე დამსწრეებს და იმედი გამოთქვა, რომ კითხვების შემთხვევაში სხდომაზე მყოფი ექსპერტები ამომწურავად გასცემდნენ პასუხს საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და დაწესებულების წამომადგენლებს კითხვით, კერძოდ, მან გააჟღერა საბჭოს წევრის ლევან იმნაიშვილის კითხვა, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მისიას. ვინაიდან ლევან იმნაიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, მან საბჭოს წევრებს წერილობით სთხოვა აღნიშნული კითხვის საბჭოს სხდომაზე დასმა. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: ვინაიდან მისია ძალიან ზოგადია და ყველა უნივერსიტეტს შეიძლება მოერგოს, უნივერსიტეტი კი აგრარული პროფილისაა, ასევე ახორციელებდა საინჟინრო მიმართულების პროგრამებს, მაგრამ ამის შესახებ არ იყო მისიაში გაცხადებული არაფერი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ მისიაში გაცხადებულია, რომ დაწესებულება ნამდვილად აგრარული და საბუნებისმეტყველო პროფილისაა, თუმცა ის არის მულტიპროფილური და ახორციელებდა საინჟინრო მიმართულების პროგრამებსაც. ამასთან კანონი არ უკრძალავს უნივერსიტეტს სხვადასხვა მიმართულებით პროგრამების განხორციელებას, თუმცა რექტორმა ისიც აღნიშნა, რომ რეფორმების დროს დაწესებულებამ დახურა ორი პროგრამა სამართალი და ჟურნალისტიკა, რომელიც მიიჩნია, რომ მის პროფილთან არ იყო შესაბამისი.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა დაწესებულებას მითითებული სისუსტეებში ზოგიერთი პროგრამის ნაკლებად პოპულარობა და შეზღუდული გავლენა საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, რადგან საბჭოს წევრის აზრით, ეს რეალურად გარედან მომდინარე საფრთხეებს წარმოადგენდა და არა დაწესებულების სისუსტეს. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ ამ საკითხის განხილვა შეიძლება ორივე მხრიდან მაგალითად ვეტერინარია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამა არ არის პოპულარული, რაც იწვევს დაბალ კონკურსს და შესაბამისად ამ მიმართულებით შედარებით სტუდენტების სუსტი ნაკადის არსებობას უნივერსიტეტში, რაც საბოლოო ჯამში იქცევა ზოგადად უნივერსიტეტის სისუსტედ. ასევე, რექტორმა განმარტა, რომ გარკვეული

ცვლილებები, რომელიც უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად საგანმანათლებლო პოლიტიკაში ხორციელდება და სტუდენტებზე აისახება, ისინი ამას დაწესებულებას უკავშირებენ რაც შეიძლება განხილული იქნას როგორც სისუსტე.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, იყო თუ არა დანერგილი უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ეფექტური შეფასების მექანიზმი. ასევე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა რამდენიმე ასეულ გვერდიანი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დაწყებული მობილური აპლიკაციების შექმნით დამთავრებული, შესრულების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ინტერვიუების დროსაც დარწმუნდნენ ექსპერტები, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით ნამდვილად ეფექტურად მუშაობდა და ახორციელებდა განსაზღვრულ ვადებში დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.

საბჭოს წევრმა რიმა ბერიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა დასაფასებელი იყო უნივერსიტეტის ეროვნულობა, რომელიც გამოიხატებოდა უნივერსიტეტის მისიაში, კერძოდ, ქართული ენისათვის კვლევების მიმართულებით პრიორიტეტის მინიჭებაში. მან ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტი გეგმავდა მთლიანი რესურსის გამოყენებას სწავლასა და კვლევაში, , მიუხედავად იმისა, რომ მისი ლაბორატორიების გამოყენება, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა საექსპერტო საქმიანობაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის და , სურსათის უსაფრთხოების კუთხით. ექსპერტებმა, ასევე ხაზგასმით აღნიშნეს პირველი სტანდარტის საუკეთესო პრაქტიკა, რაც გულისხმობს ქართული ენის როლის განსაზღვრას სწავლებაში და სამეცნიერო კვლევებში. ასევე, უნივერსიტეტში არიან მკვლევარები, რომლებიც მთელი დღე არიან ლაბორატორიებში, აწარმოებენ კვლევებს და ამასთან ჩართული არიან უნივერსიტეტის საქმიანობაში. ეს ყველაფერი მისთვის, როგორც საბჭოს წევრისთვის იყო ძალიან კარგი მაგალითი.

საბჭოს წევრი ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენაში როგორ იყვნენ სტუდენტები ჩართულები ვინაიდან სტანდარტის ნორმატიული შინაარსი ადგენდა მისიისა და სტრატეგიის შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობის აუცილებლობას. ექსპერტებმა რამდენად დაადგინეს სტუდენტთა ინტერვიუების დროს მათი ჩართულობის როლი ამ დოკუმენტების შედგენის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა რჩევა იყო სტუდენტური თვითმმართველობის შექმნა, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუმ ნამდვილად დაარწმუნა ექსპერტები, რომ მათი ჩართულობა არა მხოლოდ მისიისა და სტრატეგიის შექმნის დროს, არამედ ზოგადად უნივერსიტეტის ცხოვრებაში საკმაოდ მაღალი იყო. სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ მათ არა მარტო ომბუდსმენტთან, არამედ ადმინისტრაციის ნებისმიერ

დაარწმუნა ექსპერტები, რომ მათი ჩართულობა არა მხოლოდ მისიისა და სტრატეგიის შექმნის დროს, არამედ ზოგადად უნივერსიტეტის ცხოვრებაში საკმაოდ მაღალი იყო. სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ მათ არა მარტო ომბუდსმენთან, არამედ ადმინისტრაციის ნებისმიერ წარმომადგენელთან შეუფერხებლად შეეძლოთ კომუნიკაცია, უნივერსიტეტში ნაკლები ბიუროკრატია იყო და სტუდენტებს საკუთარი აზრის გამოთქვა ყველა საკითხზე შეეძლოთ. ექსპერტმა ნინო ჟვანიამ დაამატა, რომ უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენაში, ასევე, ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, რაც ძალიან საინტერესო პრაქტიკა იყო და ამავედროულად მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისათვის. ინტერვიუებიდან ნამდვილად ჩანდა, რომ ყველა მხარე ჩართული იყო ამ პროცესებში. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ინტერვიუსთვის პირთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თავად ექსპერტების მიერ, შესაბამისად სტუდენტებმა წინასწარ არ იცოდნენ რა უნდა ეთქვათ, ანუ რა იქნება „სწორი“ პასუხი, გასაუბრებაზე იყო დაახლოებით 60 ადამიანი, ეს იყო ნამდვილად რეპრეზენტაციული და სწორედ ასახავდა იმ გარემოს რაც არის უნივერსიტეტში. რექტორმა ასევე განმარტა, რომ სტანდარტი და რეგულაცია სხვადასხვა რამაა, სტანდარტი არ ადგენს ზუსტ წესს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს დაწესებულებამ შედეგს, არამედ ეს დამოკიდებულია დაწესებულებაზე როგორ დასახავს მიზნის მიღწევის გეგმებს. რექტორმა დაამატა, რომ ძალიან მარტივი გადასამოწმებელი იყო, რამდენი სტუდენტი მიმართავდა რექტორს ელექტრონულ ფოსტაზე და რა ვადაში იღებდა კითხვაზე პასუხს. მისი აზრით, სტუდენტური თვითმმართველობის არსებული პრაქტიკა არ იყო იმ სტუდენტთა ჩართულობის მიღწევის უპირობო გზა, სტუდენტთა ინტერესი დაწესებულების მიმართ არის მოკლევადიანი 3-4 წელი, ანუ ის დრო რა პერიოდშიც სტუდენტი არის უნივერსიტეტში, თორემ გრძელვადიან პერიოდში, მაგალითად 20 წლის თავზე როგორი იქნება უნივერსიტეტი, ეს პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ადმინისტრაციას. ამდენად, თუკი სტუდენტების ჩართულობის შესახებ ექსპერტები დარწმუნდნენ, ეს ნიშნავდა, რომ მიზანი მიღწეულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს გადასულიყვნენ მე-2 სტანდარტის განხილვაზე და მოკლედ მოეხსენებიათ საბჭოსთვის ამ სტანდარტის შესახებ ექსპერტთა შეფასება. ექსპერტმა ეკატერინე ახარაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ძალიან საინტერესო სტრუქტურა, რაც განსხვავდებოდა უნივერსიტეტების არსებული პრაქტიკისაგან, უფრო მეტიც დოკუმენტში იმდენად კარგად არ ჩანდა სტრუქტურის შინაარსი, როგორც ეს რეალურად იყო, რაშიც ექსპერტები ვიზიტის დროს დარწმუნდნენ. ძირითადად, რექტორის მიერ უფლებამოსილებები განაწილებულია და დელეგირებულია ტოპ მენეჯმენტის დონეზე, ვიცე-რექტორებსა და კანცლერს შორის, უნივერსიტეტი მენეჯმენტში იყენებს Lean მენეჯმენტს, რითაც დაწესებულება საკმაოდ კარგ შედეგებს იღებს, რაც თავისმხრივ ამცირებს ფინანსურ ხარჯებს, და მოკლე დროში ხდება გადაწყვეტილების მიღება, რაც დადებითად ფასდება

ექსპერტების მიერ. კოლეგიალური ორგანო, რომელიც გააჩნია დაწესებულებას, უფრო მეტად არის საკონსულტაციო სათათბირო ორგანო, რომელიც რექტორთან არსებობს, საბჭო შედგება აკადემიური პერსონალისა და მკვლევარებისაგან. ექსპერტები დაინტერესდნენ რამდენად მუშა და ფუნქციური იყო ეს ორგანო, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საბჭოს შეხვედრები უფრო არაფორმალური ხასიათის იყო, თუმცა ექსპერტები ძალიან დელიკატურად მიუდგნენ ამ საკითხს, რადგან კანონის მიხედვით კერძო უნივერსიტეტი არ არის ვალდებული ჰყავდეს მართვის კოლეგიური ორგანო, თუმცა ექსპერტები შეთანხმდნენ და რჩევის სახით ჩამოაყალიბეს მათი ხედვა, რომელიც ეხება დაწესებულებაში არსებული აკადემიური საბჭოს შეხვედრების უფრო მეტად ფორმალიზებას, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის აკადემიური პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის საქმიანობაში. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე და უნივერსიტეტი არ გეგმავს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, თუმცა კვლევების ინტერნაციონალიზაცია და ასევე სტუდენტთა ხელმძღვანელად უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა წარმოადგენს დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. ექსპერტები დაინტერესდნენ თუ, რამდენად იყო ასახული Lean მენეჯმენტის შედეგები კვლევით პროცესებში, დაწესებულება ძალიან აქტიურად ახორციელებდა კვლევით საქმიანობას, რაც იყო Lean მენეჯმენტის შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს გააცნო საბჭოს წევრის აკაკი ხელაძის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა, რომელიც არ ესწრებოდა საბჭოს. შეკითხვა ეხებოდა უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე არსებობდა თუ არა ფაკულტეტის საბჭო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ არსებობდა ფაკულტეტების საბჭოები, რომლებიც ახორციელებდნენ კურსდამთავრებულებზე კვალიფიკაციის მინიჭებას, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახდენდა სადისერტაციო საბჭო.

ექსპერტმა ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ დაწესებულებაში დანერგილი იყო ხარისხის შეფასების მექანიზმი, რაც გამოირჩეოდა იმით, რომ ამ პროცესში ჩართულია დამსაქმებელი, რაც ძალიან კარგი პრაქტიკა იყო. ასევე, ექსპერტმა განმარტა, რომ საკმაოდ დეტალურად იყო გაწერილი პრაქტიკის შესრულების კომპონენტი დოკუმენტებში, რაც ძალიან კარგია. ექსპერტებს სულ ორი რჩევა ჰქონდათ შიდა ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებით, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი მზარდია და გარკვეული დროის შემდეგ დადგება საჭიროება ხარისხის შიდა მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით, ასევე იმ პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებაზე, რომელიც ჩართულია ხარისხის შეფასების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რამდენად ხდებოდა უკუკავშირის შემდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, აისახებოდა გამოკითხვები თუ არაკონკრეტულ შედეგებზე, ასევე თუ იყო ჩატარებული გარე ექსპერტების შეფასებები, ამასთან მიმართებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ეს საკითხი გადაამოწმეს ექსპერტებმა და ნახეს, რომ გამოკითხვები არ ხდებოდა მხოლოდ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, ამას მოსდევდა კონკრეტული ქმედებები და შედეგები, ანუ უმჯობესდებოდა ის სისუსტეები, რომელსაც გამოკითხვა აჩვენებდა. უნივერსიტეტი დამსაქმებლების ჩართულობით ახორციელებს გარე შეფასებებს, და ეს არ ხდება უბრალოდ კურიკულუმის შედგენის დროს, ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, იქმნება სპეციალური ანგარიშები დამსაქმებლების მხრიდან.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, თუ რას გამოყოფდნენ საუკეთესო პრაქტიკად ხარისხის შეფასების მექანიზმებში, რაზეც რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტი წინასწარ განსაზღვრავდა საჭიროებებს, მაგალითად აკვირდებოდა საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტებს და აანალიზებდა მათ საბოლოო შედეგებს, დაწესებულება სამომავლოდ, როდესაც ამის საჭიროება დადგებოდა განავითარებდა შეფასების არსებულ მექანიზმებს და ამ თვალსაზრისით ექსპერტთა რეკომენდაცია იყო დასაფიქრებელი და საინტერესო. უნივერსიტეტი იყენებდა გამოკითხვის ელექტრონულ სისტემას, რაც ძალიან მყისიერად იძლეოდა შედეგებს, შესაძლო იყო მისი გაზიარება, გამოკითხვა დგებოდა ანონიმურად.

უნივერსიტეტის პრორექტორმა ნათია სამუშიამ თავმჯდომარის კითხვაზე, ჩატარებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას კვლევა - რამდენად მოთხოვნიდა აბიტურიენტებში უნივერსიტეტი, განმარტა, რომ გამოკითხვისთვის კვლევის რამდენიმე მეთოდს იყენებდნენ, აქედან მნიშვნელოვანია აბიტურიენტთან პირდაპირი კონტაქტი, აქვთ გასვლითი შეხვედრები, მათ შორის რეგიონებში და ხვდებიან სტუდენტებს, ასევე, ახორციელებენ პროექტს „გახდი სტუდენტი ერთი დღე“ და ყველა დაინტერესებულ აბიტურიენტს შეუძლია ერთი დღე გაატაროს უნივერსიტეტში, როგორც სტუდენტმა, და გაიგოს ყველაფერი იმ პროგრამის შესახებ, რომელიც მას აინტერესებს. ყოველი წლის კვლევის შედეგებს და რეალურ სურათს ადარებდნენ წინა წლის სტატისტიკურ მონაცემებს და ამის მიხედვით მუშაობდნენ იმ სისუსტეების გასაუმჯობესებლად, რომლებიც გამოვლინდება კვლევების შედეგად.

საბჭოს თავმჯდომარემ რექტორს მიმართა კითხვით უნივერსიტეტს ხომ არ ჰქონდა რაიმე სახის სოციალური პროგრამები, კონკრეტული პროგრამების განსავითარებლად და აბიტურიენტების დასაინტერესებლად, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსებს, ეს ფორმატი უფრო მორგებული იყო ამისათვის, ცდილობენ შეინარჩუნონ სწავლის საფასური და უფრო ხელმისაწვდომი გახადონ

დაინტერესებული პირებისათვის. ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მაგალითად დაახლოებით 30 000 ლარის სტიპენდია გასცეს ქიმიის ოლიმპიადაში მონაწილეებზე, ასევე 15 კრედიტი ყველა სტუდენტისთვის არის უფასო, რომელსაც მაინორის ფარგლებში აირჩევენ.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი საკონტაქტო საათი იყო გათვალისწინებული ინგლისური ენის შესასწავლად, ვინაიდან ერთ-ერთი სტუდენტი გამოკითხვების დროს ითხოვდა საკონტაქტო საათების გაზრდას და საბჭოს წევრს აინტერესებდა დააკმაყოფილებდა თუ არა მისი თხოვნა. ასევე, საბჭოს წევრს აინტერესებდა საბაკალავრო პროგრამებში არჩევითი კურსების მოცულობა, რომელიც არის 10-14 კრედიტი 240 კრედიტიდან და მაინორის არჩევას რის საფუძველზე ახერხებენ სტუდენტები, ასევე საბჭოს წევრს აინტერესებდა სტუდენტს შეუძლია თუ არა ინგლისური აირჩიოს მაინორად. აღნიშნულთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ ინგლისური ენა მაინორი არ არის უნივერსიტეტში, ვებგვერდზე ჩამოთვლილია მაინორის კურსები, უფასო კრედიტები არის მაინორის ზემოთ. რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებას, ამ მიმართულებით სტუდენტების დონე იყო შედარებით სუსტი, ვინაიდან იმისათვის რომ სტუდენტი მიიყვანონ B2 დონემდე რაც მათი ამოცანაა, სტუდენტი B1 დონემდე მიჰყავთ უნივერსიტეტის ხარჯით, ერთი სემესტრი სტუდენტი სწავლობს უფასოდ, ხოლო 7 კრედიტიან კურსზე გადასვლის შემდეგ ინგლისურ ენის კურსის საფასური შედის სწავლის საფასურში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტები აბარებენ ტესტს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ინგლისური ენის დონე და ამის მიხედვით ხდება მათთვის ენის შესწავლა. შესაძლებელია ინდივიდუალურად მოხდეს სტუდენტისთვის ენის შესწავლა. პრორექტორმა ნათია სამუშიამ დაამატა, რომ სტუდენტი 2 წლის განმავლობაში სწავლობს ენას, იმისათვის რომ მიაღწიოს B2 დონეს, უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით. სწავლის საფასური უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე, გარდა ბიზნესის პროგრამისა, არის 3250 ლარი.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ თუ არა კონკრეტული მექანიზმი რომლითაც სწავლის შედეგების შეფასებას ახდენდნენ და როგორ აფასებდნენ ლექციების ხარისხს, ხომ არ ჰქონდათ ლექციაზე დასწრების პრაქტიკა, რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტს ეგზავნებოდა შესაბამისი კითხვარი და იკვლევდნენ შედეგებს. რექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ გამოკითხვებს, როგორც მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს ისე არ განიხილავდნენ, მაგალითად თუ სტუდენტები ამბობდნენ, რომ ესა თუ ის ლექტორი არ არის კომპეტენტური, მხოლოდ ამის საფუძველზე ადმინისტრაცია არ იღებდა გადაწყვეტილებას, ეს იყო გარკვეული სიგნალი, ითვალისწინებდნენ კოლეგიალურ შეფასებას, ფაკულტეტის დონეზე, სტუდენტთა ფოკუს ჯგუფების დონეზე შეისწავლიან საკითხს, ლექტორის აყვანამდე დაწესებულება

საკმაოდ დეტალურად ამოწმებს მის კომპეტენტურობას, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა ლექტორი გაუშვიათ შეფასებების გათვალისწინებით.

ექსპერტმა ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს მექანიზმები აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასთან დაკავშირებით. ექსპერტებს ამ მიმართულებით რაიმე ტიპის შენიშვნები არ ჰქონდათ. პლაგიატის აღმომჩენი სისტემა ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ აქვთ, თუმცა მათ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქვთ შესაბამისი აქტივობები. უნივერსიტეტი მუშაობდა უფრო პრევენციის მიმართულებით და საკმაოდ კარგი შედეგებიც აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, სად ახდენს დაწესებულება დოქტორანტების ნაშრომების გადამოწმებას და თუ არ აქვს კომპიუტერული პროგრამა რატომ შეფასდა ეს ქვესტანდარტი სრულ შესაბამისობაში. ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ ამაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია თავად ხელმძღვანელებზე, ის მექანიზმები, რაც დაწესებულებას აქვს ამ მიმართულებით გაწერილი ექსპერტების აზრით ეფექტურია და დაწესებულება აკმაყოფილებდა ამ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე აკადემიური წერის სილაბუსებში გაწერილი იყო თუ არა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები, ექსპერტმა დაადასტურა ასეთი ჩანაწერების არსებობა სილაბუსში. თუმცა, განმარტა, რომ საერთაშორისო გამოცდილებითაც პლაგიატის დადგენა საკმაოდ რთულია, თუნდაც პროგრამის გამოყენებით და მათ მიაჩნიათ, რომ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაში ამ საკითხის გადაბარება უფრო ეფექტურია. უნივერსიტეტის რექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ ნაშრომების დიდი ნაწილი სრულდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ყველაფერია შექმნილი იმისათვის, რომ გამორიცხული იყოს პლაგიატის/გადაწერის შემთხვევები, რჩება მაგისტრების და დოქტორანტების ნაშრომები, სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს ბაზები სადაც იქნება მონაცემები დაცული ნაშრომების შესახებ, თუკი არ არსებობს ამ დაცვებზე პუბლიკაციები, ყველაზე საუკეთესო პროგრამაც კი ვერ შეძლებს აღმოაჩინოს პლაგიატი. ტექნიკურად პროგრამის პრობლემა კი არ დგას, არამედ მონაცემთა ბაზების არარსებობაა, არსებობს პლაგიატის შემთხვევები, რაზეც გვაქვს მასთან ბრძოლის. ადეკვატური მექანიზმები. სტუდენტთა ხელშეკრულებებში, საგანმანათლებლო პროგრამებში, ეთიკის კოდექსში არის გაწერილი პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებში რა შედეგები შეიძლება დადგეს. ამდენად სტუდენტი ინფორმირებულია ამის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, სტრატეგიული განვითარების გეგმაში რომელ წელს იყო გათვალისწინებული პროგრამის შეძენა, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება 2019-2021 წლებში გეგმავდა სათანადო პროგრამის შეძენას. რექტორმა

დამატებით განმარტა, რომ ნებისმიერ პროგრამის დანერგვა იწვევდა სტუდენტების მხრიდან პროგრამის „მოტყუების“ მცდელობას და ერთი წლის შემდეგ უკვე აღწევდნენ კიდეც შედეგს. ამდენად, მათი აზრით მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის ქონა არ იყო ქმედითი მექანიზმი პლაგიატთან ბრძოლისათვის.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო გაწერილი შიდა სამართლებრივ აქტებში სადოქტორო ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის მიმართ პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, დოკუმენტებში აქცენტი გაკეთებული იყო მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მონიტორინგზე პლაგიატთან მიმართებაში, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ არსებული ჩანაწერები ფარავდა მათ შორის სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომებსაც, ამასთან დაკავშირებით პრორექტორმა ნათია სამუშიამ დამატებით აღნიშნა, რომ ეთიკის კოდექსში შესაბამისი ჩანაწერი არსებობდა სასწავლო პროცესში ნებისმიერი სახით გამოვლენილი პლაგიატის დროს გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ აზრი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული ხედვა პლაგიატთან დაკავშირებით, ამასთან პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა არ წარმოადგენდა ფინანსური თვალსაზრისით სირთულეს უნივერსიტეტისათვის, ამ კუთხით ის ნამდვილად განსხვავდებოდა ამ დრომდე საბჭოს მიერ განხილული იმ უნივერსიტეტებისაგან, რომლებსაც არ გააჩნდათ ხედვა აკადემიური კეთილსინდისიერებასა და პლაგიატთან დაკვირვებით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:07 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:22 საათზე.

საბჭომ მუშაობა განაახლა მე-4 სტანდარტის განხილვით, ექსპერტმა ეკატერინე აზარაშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის შერჩევა ხდებოდა კონკურსის გზით, გადაწყვეტილება მიიღებოდა კონსენსუსის გზით საკონკურსო კომისიების მიერ, არსებობდა ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი, რომლის არსებობა ექსპერტების შეფასებით ძალიან კარგი პრაქტიკაა, ის ზრუნავს იმაზე, თუ რა მიმართულებითაა საჭირო მხარდაჭერა ახალი პერსონალისათვის, ეს დახმარება არის პედაგოგიური დასწავლების მეთოდებთან დაკავშირებული, ტარდება ტრენინგები, შეხვედრები, შემუშავებულია აფილირების პოლიტიკა, დაწესებულების მხრიდან მხარდაჭერილია კვლევითი საქმიანობა, პუბლიკაციების გამოცემა, კონფერენციებში, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა დაფინანსებულია დაწესებულების მიერ. აფილირებული პერსონალი აცნობიერებს, რომ მათი სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებულია

დაწესებულებასთან, ექსპერტმა თავმჯდომარის კითხვაზე გადაამოწმა თუ არა რეესტრში აფილირებული პირების მონაცემები რეალურად არსებულ მდგომარეობასთან, განმარტა, რომ ამ მხრივ ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონიათ, რაც შეეხება თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოვლენას ასეთი მხოლოდ 8 პროფესორი იყო, რომელიც ორივე უნივერსიტეტში იკავებდა აკადემიურ თანამდებობას. დატვირთვებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ დატვირთვების განაწილების სქემა არსებობდა, არსებობს სამსახური, რომელიც ამ დატვირთვების განაწილებას და მონიტორინგს ახორციელებს, ამდენად ექსპერტებს ამ ნაწილში შენიშვნები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა წარმოდგენილ სამი ტიპის შრომით ხელშეკრულებაში (აფილირებული, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) რატომ არ იყო მითითებული შრომითი ხელშეკრულების ვადა, რაზეც ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა თეა ოდიშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო ხელშეკრულების ნიმუშები, სადაც ვადა არ იყო ჩაწერილი, მოწვეულ ლექტორებთან ხელშეკრულებები ფორმდება სემესტრულად, აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება 4 წლის ვადით, კანონის თანახმად თუ დასაქმებული მუშაობს 30 თვეზე მეტი ვადით შრომითი ხელშეკრულება მიიჩნევა უვადოთ, იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური თანამდებობაზე დასაქმებულ პირებს იმავდროულად უკავიათ სხვადასხვა კვლევითი თანამდებობები აქვთ უვადო ხელშეკრულებები, თუმცა აკადემიური თანამდებობის ვადა არის 4 წელი და ამ ვადის გასვლის შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია გამოაცხადოს კონკურსი.

თავმჯდომარემ ჰკითხა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული ატესტაციის წესი უვადო აკადემიური პერსონალისათვის, რაზეც რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა უვადო აკადემიური პერსონალი, შესაბამისად მათ არ ჰქონდათ ატესტაციის წესი. რექტორმა დამატებით განმარტა, რომ დასაქმებულთან 30 თვიანი ხელშეკრულების პირობებში შრომითი ხელშეკრულება ითვლებოდა უვადოდ დადებულად.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ ექსპერტებს სთხოვა განემარტათ რა იგულისხმებოდა დასკვნაში არსებულ ჩანაწერში - სასურველია გარე პირებისათვის პერსონალის საათობრივი ანაზღაურება იყოს ფიქსირებული და გამჭვირვალე, რაზეც ექსპერტმა ეკატერინე აზარაშვილმა განმარტა, რომ საათობრივი ანაზღაურება ყველა ცალკეულ შემთხვევაში იყო განსხვავებული და ამ რჩევაში ექსპერტები გულისხმობდნენ, რომ სასურველი იყო ყველას ჰქონოდა საათობრივი ანაზღაურების ფიქსირებული ოდენობა, ეს მოსაზრება იყო უცხოელი ექსპერტის საერთაშორისო გამოცდილების შედეგად დაწერილი.

საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა დაწესებულების მიერ დადგენილი აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვის მოცულობით, ვინაიდან დასკვნაში მითითებული იყო, რომ წლიური აკადემიური დატვირთვა შეადგენდა 1651 საათს. საბჭოს წევრის აზრით თუ ეს ყველა პერსონალის ერთად აღებული დატვირთვა იყო მაშინ ძალიან ცოტა იყო, ხოლო თუ ერთის იყო მხოლოდ მაშინ ძალიან დიდი მოცულობა იყო. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა დატვირთვის სქემა, რომელიც არ იყო ფიქსირებული ჩარჩო და არ იყო აუცილებელი, რომ ყველა პერსონალს შეესრულებინა ეს გეგმა, მეორე შემთხვევაში წარმოდგენილი იყო სტატისტიკა, სადაც საშუალოდ იყო გამოყვანილი პერსონალის დატვირთვა. ექსპერტებს ვერ ექნებოდათ უარყოფითი შეფასება აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების დატვირთვის სტატისტიკა შეესაბამებოდა სტანდარტს.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა სალომე მაგნიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებში გაწერილი იყო სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის რეგულაციები, ეს დოკუმენტები იყო საჯარო, სტუდენტებს აქვთ შეხვედრები სწავლის დაწყებისთანავე და ეცნობიან მათ უფლება-მოვალეობებს, გასაჩივრების პროცედურა გაწერილია გამოცდების ჩატარების წესში, რომლითაც რეგულირდება გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი, სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, დადგენილია საკონსულტაციო საათები, რომლებიც დგინდება სტუდენტებთან შეთანხმებით, არსებობს კარიერული ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან. ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციისას არაერთი შემთხვევა დაასახელეს კურსდამთავრებულებმა, როდესაც ამ ცენტრის მეშვეობით დასაქმდნენ.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა, რომელი შიდა სამართლებრივი აქტით იყო განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი, რადგან იმ დოკუმენტებით, რომელიც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ, სტატუსის მოპოვების წესი არ იყო განსაზღვრული, აღნიშნულთან დაკავშირებით რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ სტატუსის მოპოვების წესი გათვალისწინებული იყო ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე დაწესებულებას გააჩნდა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის წესი, მაგრამ განსხვავებით უნივერსიტეტების არსებული პრაქტიკისა, სადაც ეს ყველაფერი ერთ დებულებაშია თავმოყრილი ამ უნივერსიტეტის შემთხვევაში მეტი დეტალიზაციისთვის გაწერილი იყო სხვადასხვა დოკუმენტებში, მაგალითად გარე მობილობის დებულებაში, შიდა მობილობის დებულებაში, ბაკალავრიატის დებულებაში, საგანმანათლებლო პროგრამებში. დალი კანდელაკი, ასევე, დაინტერესდა რატომ იყო განსაზღვრული 2 თვე და არა მთელი სემესტრი იმ სტუდენტისათვის, რომელმაც ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება სადიპლომო ნაშრომში, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ თვეები არის ინდივიდუალური საჭიროებებიდან

გამომდინარე განსაზღვრული, შეიძლება იყოს 2 თვე ან მთელი სემესტრი, ვადის დამატების დროს ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ შემთხვევებს. დალი კანდელაკი ასევე დაინტერესდა ათი სემესტრის ამოწურვის შემდეგ, თუ სტუდენტი ვერ დაასრულებდა საგანმანათლებლო პროგრამას, რა გადაწყვეტილებას იღებდა უნივერსიტეტი, უჩერებდა თუ უწყვეტდა სტატუსს, რაზეც პრორექტორმა ნათია სამუშიამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტს უჩერდებოდა სტუდენტის სტატუსი, ხოლო სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდგომ უწყდებოდა სტუდენტის სტატუსი. რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება უფლებამოსილია შეუჩეროს ამ საფუძვლით სტატუსი სტუდენტს, ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუმცა ეს არის პრევენციული ღონისძიება „მკვდარი სულების“ გასაკონტროლებლად თუმცა, ამ დრომდე ამგვარი პრობლემა არ დამდგარა. რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ ეს წესი ამ დრომდე არ ამოქმედებულა, მათ არ ჰყავდათ ასეთი სტუდენტი, თუმცა თუ დადგება ასეთი შემთხვევა უნივერსიტეტი გამოიყენებს ამ ჩანაწერს. დალი კანდელაკი ასევე დაინტერესდა, რატომ იყო სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სტუდენტის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, საბჭოს წევრმა ნინო ხოლუაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მსჯავრდებულ სტუდენტებს კანონის მიხედვით მიენიჭათ უფლებამოსილება ისწავლონ სასჯელადსრულების დაწესებულებაში ბაკალავრიატის საფეხურზე, ამასთან დაკავშირებით რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ კანონმდებელი დაწესებულებას ანიჭებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, ამდენად უნივერსიტეტის ჩანაწერი სტატუსის შეწყვეტის შესახებ არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კანონთან. საბჭოს წევრმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო პატიმართა კოდექსის შესაბამისი ჩანაწერი, მსჯავრდებული სტუდენტების სწავლის უფლებასთან დაკავშირებით. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები მაინც მიიჩნევდნენ, რომ მათი რეგულაციები სრულ შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან.

ექსპერტმა ეკა ლეფსვერიძემ საბჭოს გააცნო მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, მან აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს ყველა სტუდენტი ადასტურებდა კვლევებში მათ აქტიურ ჩართულობას, რაც ექსპერტის აზრით, მნიშვნელოვანი აღნიშვნის ღირსი იყო. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ ბევრი და კარგად აღჭურვილი ლაბორატორიული ბაზები, რომლებზეც ხელი მიუწვდებოდა, როგორც სტუდენტებს, ისე მკვლევარებს, ეწყობა კონფერენციები, ტრენინგები, სკოლები, მათ შეხვდნენ სტუდენტები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ის ვინც იყვნენ დღეს, ეს მთლიანად იყო უნივერსიტეტის დამსახურება, ფუფუნება იყო ცოდნის ფონდის არსებობა, რომელიც ძალიან დიდი მხარდაჭერაა უნივერსიტეტისთვის. ექსპერტმა დაამატა, რომ თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ თუკი საჭიროა რაიმე ხელსაწყოს შეძენა დიდი ხელშეწყობა აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, დოქტორანტებს ჰყავთ უცხოელი ხელმძღვანელებიც, თუმცა დაწესებულებას არ ჰქონდა ერთობლივი საგანმანათლებლო

პროგრამები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, მიუხედავად ამისა ძალიან ინტენსიური იყო თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტთან, დოქტორანტები კვლევის ნაწილს ახორციელებენ საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, თუმცა ორმაგი ხარისხის მინიჭების თაობაზე უნივერსიტეტს არ აქვს შეთანხმება ამ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო სამსახური, რომელიც ხელს უწყობს და ეხმარება, როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო კონკურსებში მონაწილეობის მიღებაში, საპროექტო წინადადებების მომზადებაში, ასევე უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგს, რომელიც საკმაოდ რთული მექანიზმით ხდება, 8 კომპონენტის მიხედვით ფასდება სამეცნიერო საქმიანობა, თუმცა მკვლევართან ინტერვიუს დროს ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ ადმინისტრაცია შეფასების დროს ძალიან მოქნილია და ითვალისწინებს იმ რისკებს, რომელიც ახასიათებს სამეცნიერო კვლევით პროცესებს, წელიწადში სამჯერ ტარდება სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი, შესყიდვების პროცესი არის ცენტრალიზებული და ადმინისტრაციის მხრიდან მკვლევარებს აქვთ დიდი მხარდაჭერა.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს დისერტაციის დაცვის პროცედურასთან დაკავშირებით, კერძოდ დაცვის კომისიაში შედიან რეცენზენტები, რომლებიც თავის დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის შესახებ ერთი თვით ადრე აცნობენ დოქტორანტს, ანუ მათი პოზიცია ცნობილია დოქტორანტისთვის, ასევე სათათბირო ხმის უფლებით კომისიაში შედის ხელმძღვანელი, რომელიც დადებითად არის განწყობილი და დანარჩენი 2 წევრი, ხომ არ უფიქრიათ კომისიის შემადგენლობის გადახედვაზე, მაგალითად რეცენზენტების კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო კობახიძემ განმარტა, რომ კომისიის შემდგომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე განიხილავს სადისერტაციო საბჭო, შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო, ასევე რეცენზენტები ხშირ შემთხვევაში არიან უცხოელები, შეფასების ეს პროცედურა მათი აზრით საკმაოდ მოქნილი და მისაღებია.

მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება საბჭოს გააცნო არჩილ აბაშიძემ, მან განმარტა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა არის ევროპული სტანდარტის, იქ არის ყველაფერი რაც შეიძლება დასჭირდეს სტუდენტს, ინტერვიუს დროს სტუდენტები ამბობდნენ, რომ ისინი მთელ დღეს ატარებდნენ უნივერსიტეტში, ფაქტობრივად 8 საათს, შენობაში არის მშვიდი და საქმიანო გარემო, არის დაცვა, უნივერსიტეტი არის ადაპტირებული სსსმ პირების საჭიროებისათვის, უნივერსიტეტს აქვს რესურსები ცოდნის ფონდის სახით, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით ზურგს უმაგრებს უნივერსიტეტს, ასევე დაწესებულებას აქვს ელექტრონული პლატფორმა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის მართვაში, ექსპერტთა რჩევა შეეხებოდა დაფინანსების დივერსიფიკაციას, გარე დაფინანსების წყაროების მოძიების თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და კვალიფიციური დასკვნისათვის.

საჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:45 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, დაწესებულება ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასებული იყო როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს (ს/კ: 211325653) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4 000-ით.

საბჭოს წევრმა კონსტანტინე სირბილაძემ დატოვა სხდომა.

2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური საქმიანობისთვის და სთხოვა გაეცნოთ დასკვნაში ასახული ძირითადი მიგნებები. საბჭოს წევრებს ექსპერტთა დასკვნა და ძირითადი მიგნებები გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მურთაზ კვირკვამ, მან განმარტა, რომ დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი. მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის გზით, ექსპერტებს დაწესებულებაში ვიზიტი არ განუხორციელებიათ, თავმჯდომარის კითხვაზე თუ რატომ არ შედგა ვიზიტი დაწესებულებაში ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას 2 თვის შემდგომ უწევს ავტორიზაციის განაცხადის შეტანა ცენტრში, ამდენად მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის ფორმით. მათი მიზანი იყო შეესწავლათ წინა მონიტორინგით გამოვლენილი რეკომენდაციის შესრულების შეფასება, ეს რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა დაწესებულების მიერ ლიფტის მოწყობას, სსსმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას და შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ეს რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა მათ ჰქონდათ ახალი რეკომენდაციები, რომელიც წინა დასკვნაში არ იყო მითითებული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნა ძირითადად იყო პოზიტიური, პირველი და მე-7 სტანდარტი შეფასებულია, როგორც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მე-6 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. თუმცა მათ ჰქონდათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები და რჩევები. არგუმენტირებული პასუხის გამოგზავნის შემდგომ ექსპერტებისათვის ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებას გარკვეული რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებული ჰქონდა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა საბჭოს წევრებს გააცნეს რეკომენდაციები:

- განხორციელდეს სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ქვემიზნების (2.3.2; 3.1.6, 2.2.3; 2.2.2) ქვემიზნები) შესაბამისი აქტივობების უფრო მეტად დაკონკრეტება, რომ გეგმიდან ნათლად ჩანდეს რის გაკეთებას აპირებს უმაღლესი სასწავლებელი კონკრეტული ქვემიზნების მისაღწევად;
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული მიზნების და ქვემიზნების მისაღწევად უნდა დაიწყოს და დააჩქაროს აკადემიური კორპუსის/პერსონალის გაზრდის (გამლიერების) მიზნით საჭირო კადრების მოზიდვა;
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გააუმჯობესოს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოს სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას;
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში უნდა ასახოს კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით;
- დანერგოს პლაგიატის პრევენციის პროგრამა კვლევების კეთილსინდისიერად და აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვის უზრუნველსაყოფად;
- პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და განახლების მეთოდოლოგია უნდა გაუმჯობესდეს, განსაკუთრებით პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მიმართულებით;
- რეკომენდირებულია გარე დაინტერესებული მხარეების მეტად ინტენსიური მონაწილეობა პროგრამების შემუშავებაში და განახლების პროცესში;
- განხორციელდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, როგორც სტილისტური, ასევე პროცედურების და წესების შინაარსის, დაგეგმილი ეტაპებისა და სამუშაოებთა, აგრეთვე სტრუქტურის გადახედვა და გაუმჯობესება, აგრეთვე ადამიანური მართვის საკითხებში ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება;
- განხორციელდეს ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის სტრუქტურისა და შინაარსის ძირეულ გადახედვა და გაუმჯობესება;
- განხორციელდეს სამუშაო აღწერილობის დაფუძნებული ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულების ფორმის გადახედვა და გაუმჯობესება.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სისტემის ფარგლებში განისაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური დატვირთვის ზღვრული მაჩვენებელი და შემუშავდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემის შემუშავების, მონიტორინგისა და გადაჭარბებაზე რეაგირების პროცედურები;

- გადაიხედოს და გაუმჯობესდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი;
- სასწავლებელმა სტუდენტთა ინფორმირებულობის ზრდისა და მათი წახალისების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად საჭიროა შიდა რეგულაციის სახით შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური აქტივობის შეფასებისა და წახალისების კრიტერიუმები და სასტიპენდიო დაფინანსების მინიჭების წესი.
- სასწავლებელმა უზრუნველყოს სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით აკადემიურ პროგრამებში.
- შედეგების გათვალისწინებით. გადაიხედოს სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის შეჩერების ანალიზის;
- უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტების კონკურსის შესახებ პირობების საჯაროობა;
- შეიმუშაოს ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით უცხოურ კვლევით ცენტრებთან და საქართველოს უსდ-ების თანამშრომლობის პოლიტიკა და პროცედურები.
- უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩაბმა კვლევით პროექტებში კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად.
- გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების/ჩართულობის მასშტაბი და პერიოდულობა სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევის უნარების განმავითარებელ ღონისძიებებში;
- კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით იზრუნოს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციების google scholar-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებაზე და სამომავლოდ შექმნას პირობები პერიოდული გამოცემის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვის მიზნით;
- უზრუნველყოს სტატიების საკონკურსო პირობების, ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნების მიმართ დადგენილი მოთხოვნების (შინაარსობრივი, ეთიკური), რეცენზირების პროცედურის, ავტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპების საჯაროდ გამოქვეყნება სტატიების მიღების გამოცხადებისთანავე.
- სამეცნიერო ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვისათვის სათანადო პირობების მომზადების მიზნით, ხელი შეუწყოს სამეცნიერო ჟურნალში ქართველი ავტორების პუბლიკაციებში დასავლეთევროპულ ენებზე არსებული უახლესი ლიტერატურის ციტირების მაჩვენებლის ზრდას, რათა ქართულენოვან და რუსულენოვან წყაროებთან ერთად პროფესორები ციტირებდნენ ჟურნალის პროფილურ დარგებში გამოცემულ უახლეს დასავლეთევროპულ ენაზე ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურას.
- სასწავლებელმა უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც შიდა საგრანტო დაფინანსების მინიჭების ერთგვაროვან კრიტერიუმებსა და კონკურსის საჯაროობის პრინციპებზე იქნება დამყარებული;

- სასწავლებელში არსებულმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა, ახალგაზრდა მეცნიერთა ტექნიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერა შიდა ან/და გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით სამეცნიერო პროექტების შემუშავების, მათ შესახებ ინფორმაციის აკუმულირებისა და გავრცელების მიმართულებით;
- უზრუნველყოს სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთგვაროვანი კრიტერიუმების და წახალისების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება შეფასების ინდიკატორებისა და წახალისების ფორმების მარეგულირებელი ერთგვაროვანი აქტის მიღებით.
- რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რეკომენდაცია,
- განხორციელდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესის გადახედვა და გაუმჯობესება, შემუშავდეს ამ წესში არსებული პოლიტიკის შესაბამისი პროცედურები.
- შემუშავდეს სასწავლებლის ბიუჯეტის ახალი სტრუქტურა და შემუშავების პროცედურები.

საბჭოს თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური მუშაობისთვის და რეკომენდაციების წარმოდგენისთვის.

რექტორმა თამარ გარდაფხაძემ მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციებისთვის, მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები ძალიან შინაარსობრივია და მისი გათვალისწინება ნამდვილად გააუმჯობესებს უნივერსიტეტის საქმიანობას. რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას 10 აპრილისათვის უწევს საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა, მათ უცხოელ ექსპერტთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება დაწესებულების შეფასების თაობაზე და ელოდებიან შეფასებას უმოკლეს ვადაში. ისინი გეგმავენ რეკომენდაციების მაქსიმალურად გათვალისწინებას საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თინათინ გაბრიჩიძემ განმარტა, რომ სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები უმტკივნეულოდ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან ეს ცვლილებები არ იწვევდა პასუხისმგებელი პირებისა და ბიუჯეტის ცვლილებას, რაც შეხება დაწესებულების სტატუსის ცვლილებასთან და აკადემიური კორპუსის გაძლიერებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ისინი სტრატეგიული გეგმის განახლების დროს შესაბამის აქტივობებს გაწერენ, და საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენის დროს ეს რეკომენდაციაც იქნება შესრულებული.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა იმ სამი პროგრამით, რომელსაც ახორციელებდა უნივერსიტეტი, ხომ არ იყო შეფასებული საერთაშორისო ექსპერტის მიერ, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ ორი პროგრამის შეფასებაში მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპერტი, ამ პროგრამებს ჰქონდა აკრედიტაცია გავლილი, თუმცა მესამე პროგრამამ ვერ გაიარა

აკრედიტაცია. რექტორმა განაცხადა, რომ ამ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ დადებითი შეფასება და დაწესებულება აპირებს სააპელაციო საბჭოში გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს აპლაგიატის აღმოჩენის პროგრამის შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დადებული ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტის მომზადების შემდგომ, მაგრამ ვინაიდან ეს მოხდა დასკვნის დაწერის შემდგომ ექსპერტებმა რეკომენდაციების შეცვლა ვერ მოახდინეს. რექტორმა განმარტა, რომ მართალია პლაგიატის პროგრამის შესყიდვის ხელშეკრულება მოგვიანებით გაფორმდა, თუმცა შიდა სამართლებრივ დოკუმენტებში, ეთიკის კოდექსში ცალკეული საგნის სილაბუსებში გაწერილი იყო აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები, დაწესებულება მუდმივად ატარებდა საინფორმაციო კამპანიებს პლაგიატის წინააღმდეგ. ექსპერტმა დაადასტურა, რომ მათ ნახეს სტუდენტთა გამოკითხვები, რომელთა 90% კითხვაზე იცნობდნენ თუ არა პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს, დადებითად ჰქონდათ პასუხი გაცემული. ექსპერტმა, ასევე დააზუსტა, რომ მათ ნახეს მხოლოდ დოკუმენტები და დასკვნას აკეთებდნენ ამაზე დაყრდნობით.

რექტორმა განმარტა, რომ კვლევა ჩაატარა გარე დაქირავებულმა კომპანიამ, რომელმაც გამოავლინა შედეგები და ეს არ იყო დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა საკითხით, რომელიც უკავშირდება პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის შესყიდვის ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო 2019 წლის 18 თებერვალს და მოქმედების ვადა მითითებული იყო 2019 წლის 31 აპრილამდე. წევრი დაინტერესდა, თუ რატომ იყო ასე მოკლევადიანი ხელშეკრულება, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო ერთი წლის ვადით, შესაძლოა ტექნიკური ხარვეზი იყო და საბოლოო თარიღი კარგად არ იკითხებოდა გადმოგზავნილ ვარიანტში.

საბჭოს წევრმა მარინა გედავანიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს სტრუქტურასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, უნივერსიტეტში არსებული 19 სტრუქტურული ერთეულია რეალურად და ყველა ექვემდებარება რექტორს და თუ სხვაგვარი არის სტრუქტურა სტრუქტურა და ის კარგად არ იკითხებოდა წარმომადგენელ დოკუმენტებში. რექტორმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გარდა სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა არსებობდა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რექტორი დამოუკიდებლად არცერთ საკითხზე არ იღებდა გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება მიიღება ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოზე და რექტორი მხოლოდ ფორმალურად ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას ბრძანებით.

საბჭოს წევრი გიორგი გვალია დაინტერესდა, დაწესებულებაში გამოვლენილა თუ არა პლაგიატის შემთხვევები, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არჩევითია

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით და თითქმის ყველა სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსს, ამდენად ამ დრომდე საბაკალავრო ნაშრომი არავის დაუწერია შესაბამისად პლაგიატის შემთხვევები სტუდენტთა ნაშრომებში არ დაფიქსირებულა, ამასთან დაწესებულება კოლეჯის სტატუსის მქონეა და მათი საქმიანობა ძირითადად არ არის დაკავშირებული სამეცნიერო კვლევებთან.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ნათიაჭიდვარიამ განმარტა, რომ მისი რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების შეფასებას, დოკუმენტი შემუშავებულია თუმცა ძალიან მიმოხილვითია, და კონკრეტული ქმედებები არ არის გაწერილი, კითხვარები რომელიც შედგენილია ამ დოკუმენტის შესაქმნელად გადასახედი და შესაცვლელია, სილაბუსები შედგენილია წესის მიხედვით, თუმცა ლიტერატურა განახლებას საჭიროებს, სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულებას მითითებული აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, თუმცა კონკრეტული აქტივობები არ არის გაწერილი სამოქმედო გეგმაში. თავმჯდომარის კითხვაზე აქვს თუ არა დაწესებულებას წარმოდგენილი სწავლის შეფასების გეგმები, ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი წესი დადგენილი იყო. დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჰქონდა სტუდენტთა სწავლების ინდივიდუალური გეგმები ასახული, შესაძლოა ასეთი არსებობდა კიდეც, მაგრამ ვინაიდან ექსპერტები მხოლოდ დოკუმენტებზე მუშაობდნენ ვერ შეძლეს მისი მოძიება. თავმჯდომარის კითხვაზე, ჰყავდათ თუ არა დაწესებულებაში უცხოელი სტუდენტები და პროგრამებში გაწერილი იყო თუ არა დაშვების წინაპირობები, რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სულ ხუთი აზერბაიჯანელი სტუდენტი, რომლებიც ძალიან კარგად საუბრობდნენ და იცოდნენ ქართული, ისინი ჩარიცხული იყვნენ მინისტრის ბრძანებით, თუმცა ექსპერტმა ვერ დაუდასტურა საბჭოს გაწერილი იყო თუ არა პროგრამებში ჩარიცხვის წინაპირობები.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ უცხოელი სტუდენტები, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ ორი იყო საქართველოს მოქალაქე, ხოლო სამი აზერბაიჯანის მოქალაქე, ამასთან სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობა განსაზღვრული აქვს უნივერსიტეტს, კერძოდ ქართული ენის ცოდნის შემოწმება ხდება გასაუბრებით. რექტორმა დაამატა, რომ ამ სტუდენტებმა ძალიან კარგად იციან და თავისუფლად საუბრობენ ქართულ ენაზე, თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რამდენად საჭიროდ მიიჩნევდნენ დაწესებულების წარმომადგენლებისაჭირო არის თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების მექანიზმების გაწერა თუნდაც ერთი უცხოელის სტუდენტის არსებობის შემთხვევაში, რექტორმა განმარტა, რომ მათ აქვთ დაწესებულებაში ენის კურსები, თუმცა არააკრედიტებული, ამასთან დაწესებულება არ ჩარიცხავდა სტუდენტებს, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას. თავმჯდომარემ აზრი გამოთქვა, იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან ამ პროგრამებს აკრედიტაცია ჰქონდა უკვე გავლილი, ამ ეტაპზე საბჭო არ ჩაუღრმავდებოდა ამ საკითხს, თუმცა იქვე დასძინა, რომ დაწესებულება იმყოფებოდა

ავტორიზაციის რეჟიმში და ეს საკითხები უნივერსიტეტის მხრიდან უნდა იყოს გათვალისწინებული ამ დროისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შესაძლოა პრობლემა გახდეს სამომავლოდ ავტორიზაციის მიღებისათვის.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი ვებგვერდზე არ იმეზნება, როგორც ეს დასკვნაშია მითითებული. მას აინტერესებდა მაშინ როგორ შეფასდა მე-5 სტანდარტის ქვეკომპონენტი დადებითად და რომ სტუდენტებისათვის ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომია. ასევე, მითითებულია, რომ ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს თავად დაგეგმოს აკადემიური კალენდარი, საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტებს აეხსნათ, თუ როგორ ხდება ეს პროცესი ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების ვებგვერდს ჰქონდა პრობლემა, კერძოდ, ვებგვერდზე ერთ შესვლაზე სხვა დოკუმენტი იყო განთავსებული, ხოლო მეორე ცდაზე სხვა დოკუმენტები ხვდებოდათ, როგორც დაწესებულებამ განუმარტა მათ ვებგვერდი იმყოფებოდა განახლების რეჟიმში და ამით იყო გამოწვეული ეს შეფერხებები. რაც შეეხება, სტუდენტების მიერ აკადემიური კალენდრის დაგეგმვას, აქ იგულისხმებოდა სტუდენტის მიერ სასწავლო კურსების არჩევა და არა კონკრეტული სალექციო განრიგის შეცვლა, განმარტა რექტორმა.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა როგორ მოხდა, რომ პროგრამის შეფასების ინდიკატორები ორ პროგრამაზე არის იდენტური პროგრამების შეფასების რა მექანიზმები არსებობს და როგორ ხდება იმ ხარვეზების გასწორება, რომელიც შეფასების დროს გამოვლინდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებამ განაახლა გამოკითხვის ფორმები, და ამ მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა აქტიურად.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა დავით ყიფიანმა განმარტა, რომ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი არსებობდა, მაგრამ ყველა საკითხი არ იყო მოცული ამ დოკუმენტით, მაგალითად არის დამტკიცებული ფორმები, თუმცა რისთვის გამოიყენება ეს კითხვარები გაუგებარია. დაწესებულებაში არის 5 ადამიანი, რომელთა დატვირთვა 40 საათს აჭარბებს, შესაძლოა ეს უბრალოდ გაუგებრობა იყო, არსებობდა აფილირების წესი, თუმცა რას სთავაზობდა აფილირებულ პერსონალს დაწესებულება არ იყო ნათლად ასახული, რაზეც რექტორმა დაამატა, რომ აფილირებულ პერსონალი გადაიყვანილი იყო 12 თვიან სახელფასო ანაზღაურებაზე, უფინანსებდნენ სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ცოტა ხნის წინ დაწესებულებიდან 60 პერსონალი, მათ შორის სტუდენტები იმყოფებოდნენ საბერძნეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რომლის მივლინების ხარჯებიც დააფინანსა უნივერსიტეტმა.

გიორგი გვალია დაინტერესდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებდა თუ არა გამოკითხვებს, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლებმა სხდომაზე აღნიშნეს, რომ სტუდენტთა გამოკითხვის მიზნით დაიქირავეს კომპანია კვლევის მომზადებისთვის, რაზეც

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა ისინი ატარებდნენ გარე შეფასებასაც დამატებით.

მე-5 და მე-6 სტანდარტზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს სტანდარტები იმ ექსპერტებმა შეაფასეს, რომლებიც სხდომას ვერ ესწრებოდნენ, ამდენად მოკლედ მიმოიხილა ამ სტანდარტებში ექსპერტთა რეკომენდაციები, რაც ეხებოდა სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების უმჯობესებას, ვინაიდან ეს არის კოლეჯი, სტანდარტი არ მიჯნავს მათ უნივერსიტეტისგან, ამიტომ მათ ისევ შეაფასეს, როგორც უნივერსიტეტს შეაფასებდნენ, მათ შეიმუშავეს ამ მხრივ რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სტუდენტთა ჩართულობას კვლევით პროცესებში. აუცილებელი იყო კვლევების დაფინანსების გაწერა ბიუჯეტში, ამისათვის დაწესებულების მდგრადი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა არის აუცილებელი.

მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა დავით ყიფიანმა განმარტა, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა წინა ექსპერტების რეკომენდაციები, მატერიალური რესურსების გაუმჯობესების თვლსაზრისით, რაც შეეხებოდა ფინანსურ მდგრადობას, უნივერსიტეტის ბიუჯეტი ძირითადად შედგებოდა სტუდენტთა მიერ შემოტანილი სწავლის საფასურისაგან, მცირე იყო სახელმწიფო გრანტები, ამდენად ფინანსური მდგრადობის კუთხით სამუშაო ჰქონდა დაწესებულებას.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა დაწესებულება ატარებდა თუ არა გარე აუდიტს, ამასთან დაწესებულებამ მხოლოდ 2017 წელს არ ისარგებლა დამფუძნებლის შემონატანით, ყველა სხვა წელს დაწესებულება სარგებლობდა დამფუძნებლის შენატანით, გამომდინარე აღნიშნულიდან, ექსპერტს აინტერესებდა ჰქონდა თუ არა დაწესებულების ადმინისტრაციას სპეციალური შეთანხმება დამფუძნებელთან ამის თაობაზე, რომ დამფუძნებლის შენატანი არ ყოფილიყო დამფუძნებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებული. ამასთან დაკავშირებით, რექტორმა განმარტა, რომ მათ უკვე ჰყავდათ მოძიებული აუდიტი, რომელთანაც დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება, ასევე, წარმომადგენელმა განმარტა, რომ თანხის მოძრაობის ოპერაციებზე მიიღებდნენ რეკომენდაციებს აუდიტისაგან.

საბჭოს წევრი მარინა გედავანიშვილი დაინტერესდა გეგმავდნენ, თუ არა სწავლის საფასურის ზრდას, რაზეც რექტორმა განმარტა, რომ ლარის კურსის გათვალისწინებით შესაძლოა სამომავლოდ მოხდეს ამ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულება არ გეგმავდა საფასურის შეცვლას.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ განცდა იმის თაობაზე, რომ რომელიმე სტანდარტი არ იყო სრულად გამოკვლეული, რექტორმა დაადასტურა, რომ განხილვა ყველა სტანდარტთან დაკავშირებით სრულად იყო ჩატარებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა საფუძვლიანად იმსჯელეს, ჰქონდათ დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდნენ, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს. თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტებმა მხოლოდ დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე შეადგინეს დასკვნა, შესაძლოა რეალური სურათი ყოფილიყო განსხვავებული. მისი აზრით საბჭოს სხდომაზე ზეპირი განხილვისას დაისვა ისეთი კითხვები, რომლებზეც ვერ მიიღეს საბჭოს წევრებმა ამომწურავი პასუხები. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უშუალოდ ავტორიზაციის პროცესში დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ხარვეზები, შესაბამისად საბჭოს წევრებიც უფრო მომთხოვნები იქნებიან მათ მიმართ.

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საბჭოს ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დაწესებულების მართვაში არსებობს ხარვეზები, მკაფიოდ არ არის გამიჯნული ფუნქციამოვალეობები, დაწესებულების ფინანსური მდგრადობა არ არის უზრუნველყოფილი, დაწესებულება ძირითად დამოკიდებულია დამფუძნებლის შემონატანზე, ამასთან არ არის განსაზღვრული დოკუმენტით დამფუძნებლის ვალდებულება ამასთან დაკავშირებით, რაც რისკის მატარებელია ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით. ამდენად საბჭოს მიაჩნია, რომ დაწესებულება მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტში „ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა, მე-2 სტანდარტი შეფასების შკალის მიხედვით კვლავ რჩება მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ასევე მე-7 სტანდარტის 7.4. კომპონენტი „ფინანსური რესურსები“ უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა, მე-7 სტანდარტი შეფასების შკალის მიხედვით კვლავ რჩება მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელის მონიტორინგის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელის (ს/კ:404916203) მიმართ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 21:35 საათზე.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე



მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

